ᲧᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲘ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბალიხ ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ: მიიღება კანტორაში. ბარუშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, ხომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდ-ასოებით ასოზე—2 კ., ჩვეულებრივ ასოებით ასოზე—1 კ., ერთ-ერთ სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲑᲝᲒᲝᲢᲘ, 22 ნოემბერ. (ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ). ᲝᲠᲮᲐᲜᲘᲔᲨᲘ და ᲕᲠᲐᲩᲔᲨᲘ ჩვენ ჩაგვიეარდა ხელში უანგარიშო ტყვია-წამალი მტრისა, ბევრი თოფები, თფილი ტანისამოსი და სურსათი; მარტო ქერი იყო 10,000 ჩეტვერტი; ამას გარდა რკინის ხიდების მოწყობილობა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 20 ნოემბერს. მარშალი მაკ-მაჰონი თანახმაა ნაციონ-ლურ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ უმრავლესობასთან მორიგდეს, მაგრამ დაბრკოლება არის იმაში, რომ რესპუბლიკელები თხოულობენ კონსტიტუციის შეცვლას ისე, რომ დღეის შემდეგ ნაციონალურ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ დათხოვნისათვის ამ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ორი მესამედი უნდა იყვეს თანახმაო.

ᲐᲗᲐᲡ-ᲮᲣᲗᲐᲡ პირმა—პარიჟში ვაჭრებმა და მეწარმოებლებმა წარუდგინეს მაკ-მაჰონს ადრესი, რომელშიაც სთხოვენ, ისეთი სამინისტრო შეადგინოს, რომელმაც ნაციონალური ᲙᲠᲔᲑᲘᲡ უმრავლესობასთან კეთილი განწყობილობა იქონიოს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 21 ნოემბერს. მაკ-მაჰონმა მოიხმო დიუფორი, რომელსაც, როგორც ამბობენ, მინდობილი აქვს შეიტყოს—თუ რას თხოულობენ ნაც. ᲙᲠᲔᲑᲘᲡ რესპუბლიკელები და რაზედ დათანხმდებიან ისინი.

ᲠᲝᲛᲘ, 21 ნოემბერს. რომის პაპი პიო მეცხრე ავათ ისე არის, რომ ლოგინიდგან ვერ დგებაო.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲐᲠᲨᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ მუდამ დღე მოველით ახალ ამბებს, მაგრამ ჯერ-ჯეროობით არ მოდის-რა; და რასაც კი ეტყობულობთ, იმასაც მხოლოთ უცხო ქვეყნის გაზეთებიდამ. ᲐᲛ ნაირად ინგლისურმა გაზეთმა „Daily News“-მა გვაცნობა, სხვათა შორის, რომ აიღეს თუ არა რუსებმა ᲧᲐᲠᲡᲘ, იმ წამსვე ღენ.-აღიუტ. ᲚᲝᲠᲘᲡ-მელიქოვი 15,000 კაცით გაგზავნეს ᲐᲠᲨᲠᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ და ამ ქალაქის აღებაც დიდმა მთავარმა იმას მიანდოეო. ᲔᲡ ჯარი ამავე გაზეთის სიტყვით, ნოემბრის 15-ს უნდა მისულიყო ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲘᲜᲗᲐᲜ, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ღენ. ᲖᲔᲘᲛᲐᲜᲘᲡ ატრიადი დგას ამ ᲥᲐᲛᲐᲓ.

—

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის წასულ ნომერში მოხსენებული იყო ღენ. ᲤᲘᲚᲘᲞᲝᲕᲘᲡ პლანი, რომ ჩვენი ჯარების ერთი ნაწილი გარსშემოერტყას ᲐᲠᲨᲠᲣᲛᲡ და მეორე ნაწილმა კი პირ-და-პირ სტამბოლისაკენ გასწიოს.

„ᲔᲡ პლანი ერთობ გაბედული და ძნელად შესასრულებელი აროსო, ამბობს გაზ. „Голосъ“. სხვა არა იყოს-რა, ჯარს

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲓᲘᲓ-ᲣᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲖᲔ

ᲔᲡ ძველებური ამბავი დაიქ მოყვანილი ლექსები მე ხშირათ გამიგია ხალხში და რადგან ეფიქრობ, რომ იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის საინტერესო იყოს, ამისათვის დავწერე და გიგზავნით, უფ. რედაქტორო.

ᲔᲡ ალაგი, რომელზედაც ამ ᲥᲐᲛᲐᲓ ᲓᲘᲓ-ᲣᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ სდგას, ყოფილა ვილაც ორი ძმისა, რომლებსაც, სხვა-დასხვა უკმაყოფილობის გამოისობით, მოუნდომებიათ გაყრა და განაწილება იმ მიწისა. ᲮᲐᲚᲮᲘ ამბობს, რომ ამ ᲓᲘᲓ-ᲣᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ იმ დროს ᲣᲫᲕᲔᲚᲐᲓ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲚᲔᲗᲘᲡ-ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲔᲠᲥᲕᲐᲝ.

ᲛᲝᲣᲧᲕᲐᲜᲘᲐᲗ შუა-კაცები და დაუწყვიათ განაწილება. მაგრამ შუა-კაცებს მომეტებული ნაწილი ურგუნებიათ უფროსი ძმისთვის და ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲪ იმის ნაწილში მოუქცევიათ.

ᲔᲡ საქმე, რასაკვირველია, სწყენია უნცროს ძმას და უთქვამს:

— რა უსამართლობაა! ᲓᲘᲓᲘ ᲣᲑᲔᲪ მაგას არგუნეთ და ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲪ!

ᲐᲛ დროს უქუხნია ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ და თავით ბოლომდის გაყრილა და თანაც მოსულა ხმა:

ᲥᲠᲣᲚᲘᲐ ᲘᲡ მ სამართლე.
ᲕᲘᲜᲪ არ გაარჩევს სიმართლეს.
მდიდარსა საქმეს გუწყობს,
ᲚᲐᲠᲘᲑᲡ მცირესაც ართმევს!

ᲐᲘ იმ დღიდამ აქნობამდინ დარქმევია „ᲓᲘᲓ-ᲣᲑᲔ“ და ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ კედლიც გახეთქილა ისე, როგორც ახლა ეხედავთ. (მალე, როგორც მოგეხსენებათ, ამ ძველ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ დააქცევენ და ახალი უნდა ააშენონ, რომელიც, ამბობენ, მშვენიერი იქნებაო).

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ოთხ-კუთხიანია, ერთის დაბალი კარებით და წყვილი ფანჯრით. ᲘᲡᲘᲡ აშენებასაც ყველასგან დაუვიწყარს თამარ-დედოფალს მიაწერს ჩვენი ხალხი და ზოგიერთი ჩვენი მეისტორიენიც.

ᲐᲛბობენ, რომ თამარ-დედოფლის მეორე ქმართან—ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲝᲡᲚᲐᲜᲗᲐᲜ ქორწილი ამ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ იყოვო; და ამისთვის მომყავს ეს მცირე ლექსი, რომელიც მე ერთმა მოხუცებულმა ქართველმა მითხრა:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ დედოფალი,
ᲓᲔᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ თამარი,
ᲡᲘᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘᲗ მოსილი,
ᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘ მზის დარი.

×

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲝᲡᲚᲐᲜᲘᲡ მეუღლე,
ᲠᲝᲛᲔᲚᲡ უშვენა მან მხარი,
ᲓᲘᲓ-ᲣᲑᲔᲨᲘ იქორწილა,
ᲡᲐᲓᲐᲪ რომ საყდარი არი.

×

ᲜᲐᲯᲘᲛᲝᲑᲐ გაუმართა,
ᲛᲝᲬᲕᲘᲐ თავის ᲯᲐᲠᲘ.
ᲐᲡᲘ ᲡᲣᲚᲘ ცხვარი დაკლა
ᲓᲐ ორასი ნიშა ხარი!

×

ᲚᲣᲠᲯᲘ სუფრა გაუშალა,
ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ იყო ასი მხარი;
ᲫᲕᲠᲘᲐ-ᲝᲑᲚᲔᲑᲘᲐ უწყალობა
ᲝᲥᲠᲝ-ᲕᲔᲠᲪᲚᲘ დიდი ძალი.

×

ᲓᲔᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ თამარი
ᲑᲔᲕᲠᲘᲪ ᲕᲘᲢᲘᲠᲝᲗ, სად არი?
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ დაეკარგა
ᲝᲥᲠᲝᲡ ქსოვილი ქამარი!

×

ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲘთ, ᲡᲘᲣᲮᲕᲘთ ქებული
ᲓᲘᲚᲘᲡ ᲪᲘᲡკარი სად არი?
ᲘᲡ ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ ᲥᲕᲔᲣᲜᲘᲔᲠᲘ
ᲛᲙᲔᲓᲐᲠᲘᲪ ᲕᲔᲠ ᲕᲭᲝᲕᲔთ — სად არი!

Ი. Ს. Დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასჭირდება თითქმის ათას ვერსამდინ გაიაროს თავის საგძლით და ყოველ გვარი საომარი მასალით, და გაიაროს ისეთს ადგილებზე, სადაც ყოველის მხრით მტერი დაესევა იმას და მოსვენებას არ მისცემს; სამი თვის განმავალობაშა მაინც მოუნდება ამ ჩვენს ჯარს არზრუმიდამ სტამბოლამდინ მოგზაურობა, და განა შესაძლებელია, რომ ამ ჟამად ეს ჯარი მშვიდობით და მხნეთ მიადგეს სტამბოლს და იქ კიდევ რამე გაარიგო ?

„მართალია, ეს პლანი ფართო, გმირული პლანია; მაგრამ კარგი პლანი ის არის, რომლის ასრულება შეიძლება.“

—

ნემენცურს გაზეთს „Politische Correspondenz“-ში იწერებიან შემდეგ ამბავს არზრუმიდამ:

„თ ვენ ეერ წარმოიდგენთ—როგორ დაფთხნენ და აღელდნენ არზრუმელები, როდესაც იმათ პირველად გაიგეს, რომ რუსის ჯარი ამათ ქალაქს მოადგა.

„ვიღამაც გააგდო ხალხში ხმა, რომ არზრუმის სომხები რუსებს ეხმარებიან, იმათთან ამბავი მიაქვთ და ჰსურთო, რომ არზრუმი დაუთმონ იმათთა. ამ ამბავმა კიდევ უფრო გააბრაზა არზრუმის მაჰმადიანები და თუ სომხის ეპისკოპოსი ჰარუთჰუნი არ მისულიყო მუხთარ-ფაშასთან და არ დაერწმუნებინა ის, რომ ყველა ეს სომხების ღალატობის ამბავი ტყუილიაო, რომ სომხები ისეთსავე მონაწილეობას მიიღებენ არზრუმის მტრისაგან დაცვაში, როგორც მაჰმადიანებიო,—თუ ეს არა, შენი მტერი, რომ სისხლის ღვრა მოხდებოდა და შესაძლებელია, რომ ბევრ სომხებს ამოსწყვეტდნენ.

„ამ ჟამად არზრუმში სამი რუსის აფიცერია, რომელიც აზიზიეს ციხესთან ბრძოლის დროს დაატუსაღეს ოსმალოებმა.“

—

ვენის გაზეთს „Presse“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 9 ნოემბერს თფილისიდამ გაგზავნილი:

„ზოგიერთი ოსმალოს აფიცრები, რომელნიც რუსის ჯარმა ავლიართან და ყარსთან დაატყვევა, თხრულობენ, რომ რუსის საშსახურში ჩაგვრიცხეთო. საზოგადოთ იმ ადგილების მცხოვრებლები, განსაკუთრებით სომხები, რომელნიც ამ ჟამად რუსის ჯარს უჭირავს, ერთგულობის ფიცს აძლევენ რუს-ხელმწიფეს და თავს კანონიერ ხელმწიფედ სცნობენ იმას “

—

რუსულ გაზეთს „Голосъ“-ში იწერებიან:

„ოსმალეთთან მორიგების დროს, ჩვენ უნდა ეიქონიოთ მხედველობაში, რომ, თუ ვინიცობაა კიდევ აგვიტყდეს რომელსამე სახემწიფოსთან ბრძოლა, მტერმა ჩვენ შავი ზღვის ნაპირებს ვერა დაიკლოს-რა და ვერც ყარსიდგან მოგვადგეს ვერავინ.

„აი ამისთვისაც ჩვენ უეჭველად უნდა დაგვრჩეს არტაანი, ყარსი და ბათუმი.

„ბათუმის დაჭერა მარტო იმისთვის კი არ არის ჩვენთვის აუცილებელად საჭირო, რომ ეს საუკეთესო ნავსადგურია შავს ზღვაზე,—არა, იმისთვისაც, რომ ბათუმი თუ ჩვენს ხელში იქნება, მაშინ აქედამ მტრის აღარ უნდა გვეშინოდეს. სანამ ბათუმი ოსმალოს ხელში დარჩება, მანამ ჩვენი მფლობელობა ქავკასიაში მკვიდრ საფუძველზედ არ იქნება დამყარებული.“

—

ამავე გაზეთის, სიტყვით, ამ ომში ჩვენ დავატყვევეთ და წავართვით მტერს:

არტაანში—	—1000	სალდ.	1	ფაშა	და 92 ზარ.
ნიკოპოლში—	7,000	„	2	„	და 90 „
ბორნი დუბ.—	4,000	„	1	„	და 4 „
ტელიშში—	—3,000	„	1	„	და 3 „
ავლიართან —	7,000	„	8	„	და 42 „
დევე-ბოინთან—	300	„	1	„	და 36 „
ჰაფიზ-ტაბიასთან	540	„	—	„	და — „
ყარსში—	— 17,000	„	5	„	და 350 „
ს უ ლ—	39,840	სალდ.,	19	ფაშა	617 ზარ.

—

რუსის ოფიციალური გაზეთი „Вѣстн. Народн. Помощи“ გვაცნობებს, რომ ამ ნოემბრის 9-მდინ ევროპისა და აზიის ბრძოლის ველზე ჩვენის მხრით სულ 71,705 კაცი არის დახოცილი და დაჭრილიო.

ევროპის ბრძოლის ველიდამ

ინგლისური გაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი იწერება 9 ნოემბერს ტრნოვოდამ:

„ტრნოვოში რუსებმა მოაგროვეს ამ ჟამად 75,000 კაცი და 200 ზარბაზანი. ამბობენ, რომ ეს ჯარი რუსებმა ბალკანის მთებზე უნდა გადაიყვანონ და პირ-და-პირ ადრიანოპოლს მიაყენონო, პლევნოს აღებას არ მოუცდიანო.

„მცირე აზიაში გამარჯვებამ დაბადა აქაურს მთავარ შტაბში ეს გაბედული პლანი. ამ პლანის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ბალკანის გადალმა ახლა ოსმალოებს თითქმის სრულიად არ ჰყავთ ჯარები, სულ პლევნოს მისაშველებლად წამოვიდნენო და რომ ამ დროს ოსმანფაშამ კიდეც დაიხსნას თავი და მეჰმედ-ალი-ფაშის არმიას შეუერთდეს, მაინც თვითონ ამ პლევნოსთან და საზოგადოთ ბოლგარიაში იმდენი ჯარები კიდევ დაგვრჩება, რომ იმათ გაჩერებენ აქ და გაუძლებენო. ამას გარდა ამ პლანის სისრულეში მოყვანას კიდევ ის მნიშვნელობა ექნებაო, რომ ოსმალეთის მმართველობა საჩქაროთ გამოიხმობს აქედამ ჯარს და სტამბოლის მისაშველებლად წაიყვანსო.

„რასაკვირველია, ამ პლანს ბევრი ღირსება აქვს; მაგრამ საქმე იმაშია, რომ იმის სისრულეში მოყვანა არა მგონია, რომ რუსებმა შეიძლონ.“

ზემოხსენებულისავე გაზეთის მეორე კორრესპონდენტი იწერება პლევნოდამ, რომ ოსმან-ფაშა ჯერ კიდევ მარჯვედ არის, იმის იმედი არ დაჰკარგვიაო, რომ ან თავს დაიღწევს პლევნოდამ და ან გარედამ ოსმალოს ჯარი მოეშველებაო. სალდათებს, რომელთაც ოსმან-ფაშა თითქმის ღმერთად მიაჩნიათ, სრულებით არ ეტყობა, რომ ისინი დამწყვდეული და მტრისაგან გარშემორტყმული არიან; საჭმელ-სასმელი ჯერ სამყოფად აქვთ, მხნეთ არიან, მხოლოთ ს

*** ჩვენი ქალაქის რჩევაში ამას წინათ მეფაეტონეების ტაქციის მომატებაზედ იყო სჯა. როგორც გვახსოვს, რჩევამ გადაწყვიტა მაშინ, რომ საათში, სამი აბაზის მაგივრად, თოთხმეტი შაური დაენიშნოს მეფაეტონეებსაო. მაგრამ ეს ჩვენი მეფაეტონეები არწმუნებენ ახლა ყველას, რომ თითო გზობის ფასიც მოგვიმატესო: ექვსი შაურის მაგივრად, ორი აბაზი არის ახლა ტაქციაო, და ამის-დაგვარად მართლაც ორ აბაზს თხოულობენ.

*** Ყოველ წელს იმ „პირუტყვთა მფარველი საზოგადოებისას“, რომელიც ამას წინათ შექმნა ჩვენს ქალაქში, უფლება აქვს, რომ დაიჭიროს და მომრიგებელ მოსამართლესთან წარადგინოს ჯარიმის გადასახდელად ყველა, ვინც პირუტყვს აწვალებს, სცემს ანუ დიდ ტვირთს აზიდვინებს ხოლმე.

როგორც გაზეთი „Тифлисъ“ მოამბე“ გვაცნობებს, ხსენებულ საზოგადოებას ერთი ქართველი მეურმე წარუდგენია სასამართლოში საქონლის წვალებისათვის და ეს პირველი ამ გვარი საქმე ამ ნოემბრის 30-ს გაირჩევა პირველი განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში.

*** რამდენიმე პირისაგან მივიღეთ ჩვენ საჩივარი იმის თაობაზედ, რომ 1875 წელს „ვეფხვის ტყაოსნის“ გამომცემლებმა ავტორის — შოთა რუსთაველის სურათი დაგვპირდნენო, რაღაც ბილეთებიც ღაგვირიგესო და დღემდინ კი თავიანთი დაპირება ვერ შეგვისრულეს, თუმცა, როგორც ვიცით, ამ ჩვენი ჩინებული მწერლის სურათი უკვე გამოცემული არის და კიდეც ისყიდება ქალაქშიო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ლეხურის ხეობიდგან

15 ნოემბერს. „ჩვენს გაჩენაში ღმერთი არა რევიაო“, — იძახიან საწყალი გლეხები. „ყველა უბედურება ჩვენ კისერზეა: განუწყეტელი, თავ-დაღუნული მიწის ჩაქექვა. ათასობით მუქთა-მჭამლების საკვებათ, ყოველი ხალხის მაზარალებელი ომი, ჭირი და ყოველ-გვარი სნეულება — სუყველა ჩვენი მხვედრი ამ წუთისოფელში!“

საითაც კი მიიხედავ, თითქმის ყველგან ამ გვარად უჩივის თავის ბედსა ეს საუკეთესო მწარმოებელი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა.

ჩემი საკუთარი საქმეების გამო, ამ დღეებში მომიხდა ლეხურის ხეობაში მოგზაურობა და რამოდენათაც დავაკვირდი აქაურს ცხოვრებას, ეს ჩივილი არ არის უსაფუძვლო. ბლეხებს სიღარიბესთან და სხვა-და-სხვა უბედურობასთან დაერთოთ სხვა-და-სხვა ავათმყოფობა, რომელიც რასაკვირველია, არის შედეგი სიღარიბისა და ცუდი ცხოვრებისა. სხვათა შორის საქონლის ჭირიც, რომელმაც საშინლად ჩაფიერა და დააღონა ისეც დაღონებული გლეხი. საცოდავად დაღრეჭილი და ნაღლიანი დასცქერის ის თავის განუყრელს მისივე ბედქვეშ მყოფს, მის მაცხოვრებელს მომაკვდავს მეგობარს, თავის „ლაბას“! მაგრამ თითონ კი ვერა ღონის-ძიება ვერ მოუფიქრებია მის საშველათა და აბა სხვა ამის პატრონი ვინ არის! არამცთუ არავინ არავითარ ღონის-ძიებას არ ასწავლის ბლეხებს ამ სენის ამოსაფხვრელად, არამედ იმასაც კი არავინ ეუბნება, რომ საჭიროა ჭირით მომკვდარი საქონლის დამარხვა. საითაც გაიხედავ გზის პირებზედ, ისე ხროვა-ხროვა ყრია საქონლის მძოვრი და გამგელებული ძაღლები უწყალოდ ღრღინამენ მას.

საკვირველია, რომ გლეხები, თავიანთი მომსწრე ჭალარა კაცების დარწმუნებით, ამ ქამათ ყველა თავის უბედურობას, გაღატაკებას ყოველ გვარ სნეულობასა და ჭირს აწერს ომიანობას; მაგრამ რომ მოჰკითხო ამის დამტკიცება, ის ვერაფერს საფუძველს, გარდა სხვა-და-სხვა ცრუმორწმუნე მიზეზისა, ვერას წარმოგიდგენთ; მხოლოდ ისე ინსტინქტით ჰგრძნობს რაღასაც.

ყველა გონება-გახსნილ კაცმა კარგათ იცის, რომ ომი როგორც გამარჯვებულ ეგრეთვე დამარცხებულ მხარისათვის დამაზარელებელია; ამის დასამტკიცებლად ავიღოთ თუნდ ომი 1870 წლისა ნემეცებსა და საფრანგეთ შუა; თუმცა ნემეცებმა ძალიანაც დაამარცხეს ეს უკანასკნელი, ხუთი მილიარდიც წაართვეს, მაგრამ ამით, არამც თუ მათი კეთილ-დღეობა არ გაუმჯობესდა, არამედ, როგორც გვარწმუნებს დასავლეთის მწერლობა, უფრო ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა მათი საზოგადო ყოფა-ცხოვრება.

ეს ყველა ჩვენ კარგათ ვიცით, მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ თითქმის არც ერთი მოვლინება არ არის ბუნებაში, რომ ეს უმეცარი გლეხი არ მიმხვდარიყვეს მას, თუმცა კი თავისებურად ხსნის ყველას და არავითარი გონივრული საფუძველი არა აქვს მის ასახსნელად. რამოდენათაც მართალია ეს ამათი ომზე შეხედულობაც, ამას მკითხველის კეთილ-მსაჯულობას მივანდობ. მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ გლეხები ესე ფიქრობენ ხოლ მე.

ჭირის და სნეულობის გარდა ამ ხეობაში გახშირებულია ქურდობა და ცარცვა. ამ მოქმედებას ყველანი ამბობენ ქასპის ჭალაში დასახლებულ ბორჩალოს მაზრის მწყემს თათრებს, რომელნიც პატივცემულ ბორის მაზრის უფროსის თ. რევაზ ერისთვის განკარგულებით უნდა გადასახლებულიყვნენ აქედგან, მაგრამ მათ წარმოადგინეს ნამდვილი ქურდები; იმისთვის იმას ნება მიუცია ამ ზამთარს აქ დარჩენა და გაზაფხულზე კი უეჭველად უნდა აიყარონ და სრულიად მიატოვონ აქაურობა. ჩემის აზრით, მაინც კიდეე ამ მწყემსების გადასახლებით, მგონი, სრულიად ვერ მოისპოს აქ ავაზაკობა და ქურდობა, თუ ბორის მაზრის უფროსმა არ მიაქცია თავის ყურადღება ქასპის სტანციის უკან მდებარე მიკიტნის დუქანს, სადაც თავს იყრიან ქალაქიდგან მოსული პაჟარნები, მოაქვსთ აქეთ ნაპარავი ნივთები გასასყიდათ და აქედგან სადაც დაიხელამენ, ირეკენ მოპარულ საქონელს ქალაქში გასაყიდათ. თითონ მედუქნეც ტყავს აძრობს მგზავრ გლეხებს, ისეთ ფასს ართმევს, რომ ძვირფას სასტუმროებშიაც არ იქნება ისეთი ფასი. ერთი ქართული მედუქნე ამბობდა, ოღონც ნება მამცენ მე გავაღო მანდ დუქანიო, ქასპის საზოგადოებას პირობას დაუდებ, რომ ყველა თითქმის ნახევარ ფასათ გავყიდოვო.

ამ ბორის მაზრაში კიდეე ერთ გვარი ავაზაკები ცხოვრობენ, ისეე მედუქნეები; ამათ თუ თვალი შეასწრეს, რომელიმე მგზავრ გლეხს რომ უყიდნია ქალაქში ცხენი და მიჰყავს სახლში, მაშინვე ხელს ჩაავლებენ — ჩემია, მოპარულია. წაიყვანებენ ნაჩალნიკთან და მარამდის გამოიძიონ, ცხენი უნდა ჩამოერთოს ორივეს, მოდაეესაც და პატრონსაც და მიჰბარდეს უცხოს; ეს საწყალი გლეხი ყველაფრისაგან ხელს იღებს, ოღონც კი ამ ხათას გადმარჩინონ და მედუქნე კი ტყვილის მოწმებით იმტკიცებს ამ ცხენსა. ამას წინეთ ერთი მაგალითი იყო: ერთ მედუქნეს დაეჩემა არტილერიის ცხენი, რომელიც რუსს მიჰყავდა; მაშინვე მედუქნე გაამტყუნეს; მაგრამ დაუსჯელად კი დარჩა.

ს. მ—ლი

(მაგრძელება)

უცხო ქვეყნები

ინგლისი

ერთს ინგლისურს გაზეთში იწერებიან, რომ ამ ნოემბრის 10-ს ინგლისის პირველ მინისტრს ლორდ ბიკონსფილდსა და რუსეთის ელჩს გრაფ შუვალოვს ჰქონდათ ამ ომის თაობაზე ბაასი და ლორდ ბიკონსფილდმა, სხვათა შორის

უთხრაო, რომ, თუ რუსებმა ადრიანოპოლი აიღეს და შემდეგ კიდევ სტამბოლისაკენ მოინდომეს გაწევა, ეს გარემოება ისე აალელვებს ინგლისელებს, რომ, უეჭველია, ისინი ომის გამოცხადებას მოითხოვენ და მთავრობა იძულებული იქნება ხალხის სურვილი აასრულოსო.

საფრანგეთი

თუმცა მაკ-მაჰონისაგან მოსყიდული გაზეთები გვარწმუნებდნენ, რომ ახალი სამინისტრო ისეთი წევრებისაგან არის შემდგარი, რომელთაც არცერთი პოლიტიკური პარტიის მხარე არ უჭირავთ, მაგრამ ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა ეს ახალი მინისტრები თურმე ბონაპარტისტები ყოფილან.

აი ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პირველ დღესვე, როდესაც ისინი გამოცხადდნენ ნაციონალურ კრებაში, ამ კრების უმრავლესობამ (რესპუბლიკურმა პარტიამ) განაცხადა, რომ პალატა არ ენდობა იმათ და არც კანონიერ სამინისტროდ აღიარებს.

ახლა ორში ერთი უნდა მოახდინოს მაკ-მაჰონმა: ან ახალი სამინისტრო უნდა შეადგინოს რესპუბლიკელებისაგან და ან ხელ-ახლად ეს ახალი ნაციონალური კრებაც დაითხოვოს. მაგრამ, არათუ რესპუბლიკური გაზეთები, სხვა პარტიებისაც წინააღმდეგნი არიან, რომ ეს უკანასკნელი საქმე ჩაიდინოს, ე. ი. კრება დაითხოვოს მაკ-მაჰონმა. ვნახოთ—რით გათავდება საფრანგეთში ეს დაუბოლოებელი, ეს ამ მშვენიერი ქვეყნის დამღუპველი მდგომარეობა...

ნარევი

ერთი ფრანცუზული ქიმიკოსი გვასწავლის—თუ როგორ შეიძლება გამოიცნოს კაცმა—წითელ ღვინოში ურევია გარეშე რამ ღვინის ფერის მიმცემი საფერი თუ არა. ამისათვის საჭიროა მხოლოთ აიღოთ უბრალო მელი და ზედ ორი-სამი წვეთი წითელი გამოსაცდელი ღვინო დაასხათ; თუ წმინდა ღვინოა, მელზე მიხაკის ფერი ლაქა დააჩნდება; თუ სხვა რამ ურევია, მაშინ კი მელს სულ სხვა ფერის ლაქა დააჩნდება.

* *
*

ამერიკაში დაიწყეს ისეთი ჭინჭრის მოყვანა, რომელიც ნამდვილ სელის მაგიეობას შვრებაო; ისეთივე სუფთა, წმინდა ძაფი კეთდება თურმე ამ ჭინჭრის ქერქისაგან, როგორსაც სელიდამ აკეთებენ.

ამ გვარი ჭინჭარი, ამბობენ, ჩვენს კავკასიაშიაც კარგათ გაიხარებსო.

* *
*

ერთს უცოდინარს სოფლის მღვდელს მიგვარეს ეკკლესიაში საქმრო და სასძლო ჯვარის დასაწერათ. მღვდელმა ბევრი ეძება წიგნეაში საიდუმლო ქორწინებისა, მაგრამ ვერ იპოვა. ბოლოს, რო ველარა გააწყო-რა, აიღო კურთხევანი, დაადო თავზე მეფე-პატარძალს და უთხრა:

— მწყალობდეთ, შვილებო, რაც ამ წიგნში სწერია; ღმერთმაც იცის, ვერ მიპოვნია და რომ მეპოვნა კიდევაც, ვერ წავიკითხავდი.

გახლავთ, ეს ანექდოტი არ გეგონოსთ...

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილებისა.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ დაკვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ, ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

განცხადებანი

ჩაის მაღაზია

პ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა გოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია ერევნის მოედანზე, ტერ-ასატუროვის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი
რაჟდენ ბედინიძე

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა
„ცოლი ვიტირო თუ ფული?“
ოთხ-მოქმედებიანი კომედია
უფ. ალ. ა. თუთაევისა

გრიქოროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდთან, ზუბალოვის სახლში, ისყიდება იგავნი კრილოვისა, თარგმნილი ქართულად თ. მიხ. გეგუთოვისაგან.

რკ. გზა.	დილა.		სალამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი .	—	—			1	18	-	66
სამტრედია .	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამი . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 19 გიორ.		
ერთი ვაჭრეთი ლირს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიჟში 252 სანტიმი.	—	62
ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	-
ბანკის ბილეთი 5%	95	[illegible]
მოგებიანი (პირ[illegible])	21	25
მოგებიანი (მეორე სესხი)	215	[illegible]
გირაოს ფურცლები:		
ფილ. სააზნ, ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის (5%)	85	25
[illegible]ოსკოვის ([illegible]). . .	85	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	527	—
კავკასის და მერკური[illegible]	225	—
პიოვ. საზღვაო. საზ[illegible]	745	50
პეტერბ. საზღვაო. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვაო. საზ.	268	-

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 22 გიორგობ		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	2	—
ფქვილი წითელი . .	1	80
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	20
— ამერიკისა, ფუთი . .	8	50
გაპენტილი ბამბა ფუთი.	9	50
მატყლი თუშური ფი.	7	—
—თარაქამისა ფთ. .	3	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქობი, ფუთი. . .	6	80
ქონის სანთელი ფუთი.	10	—
სტეარინის სანთელი, ფ.	15	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	60
— ცხვრისა, ლიტრა .	—	60
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	10	—
— ფხვნილი ფუთი . .	8	—
ყავა გრგვალი, ფუთი .	28	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	8	18

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Ноября 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.